საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KARR0192746805122

№ **01/313** **20 / მაისი / 2022 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სააგენტოში შემოსული თქვენი 2022 წლის 19 მაისის №3-794 განცხადების პასუხად გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

1. გაცნობებთ, რომ საზედამხედველო გეგმის შემუშავება სააგენტოს მიერ ხდება კვარტლურად და არა წლიურად და მოიცავს ეკონომიკურ ოპერატორებს და პროდუქტებს, რომლებიც აღნიშნულ კვარტალში უნდა შემოწმდეს. შესაბამისად, გიგზავნით სააგენტოს სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის II კვარტლის სამოქმედო გეგმებს.

2. ამ ეტაპზე 2022 წლის ბოლომდე სააგენტოს მიერ ექსპერტიზისა და შემოწმების ხარჯებისთვის გათვალისწინებულია 27 300 ლარი.

რაც შეეხება №01/290 წერილის დანართ I-ში მითითებული შემოწმებული პროდუქტების მწარმოებლების მისამართებს, გაცნობებთ, რომ მწარმოებლის მისამართი შემოწმების ოქმში მიეთითება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოწმება ხორციელდება უშუალოდ მწარმოებელთან. შესაბამისად, აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი წარმოების შემთხვევაში, რაც აღნიშნულ დანართში მითითებულია.

დანართი:

1. სამომხმარებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის II კვარტლის სამოქმედო გეგმა - 3 ფურცელი;

2. ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის II კვარტლის სამოქმედო გეგმა - 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

ელენე კუტალაძე